ლელო

ДАМОУКИДЕБЕЛИ СПОРТУЛИ ГАЗЕТИ

26 მარტი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 54 (10 467) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების

ოქმი

1. 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფები.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ:

2. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად **და მომდინარე წლის 20 აპრილამდე** სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს, გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკის შინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6. საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ზარალის ასანაზღაურებლად.

7. შექმნილი კომისიებისა და რაზმის საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ელცინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

დაბა ყაზბეგი, 1991 წლის 23 მარტი.

• • •

ელცინისა და გამსახურდიას შეხვედრის შესახებ ოქმში უურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დოკუმენტში ფიგურირებს გამოთქმა: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ესე იგი რუსეთის სფს რესპუბლიკა ცნობს ამ ოლქის გაუქმების მართლზომიერებას. გარდა ამისა, ცნობს ამ ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანის აუცილებლობას, რომლებიც სარაკეტო იარაღით ამარაგებენ ოს ექსტრემისტებს და ხელს უშლიან მშვიდობიან მოწესრიგებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შერეული კომისიის შექმნა გამოიწვია იმან, რომ ამჟამად ცხინვალში მოქმედებენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკიდან, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთიდან, აგრეთვე რუსეთის სფსრ სხვა ქალაქებიდან შესული ოსი ეროვნების ბანდიტები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

• • •

გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რესპუბლიკა“ დღევანდელ ნომერში აქვეყნებს ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ბატონ ზვიად გამსახურდიას გუშინდელი სატელევიზიო გამოსვლის ტექსტს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.
„ლელოს“ სპეც. კორ.

გზა დავულოცოთ დარგობრივ პროფკავშირს!

გახსოვთ, ალბათ, წლეულს, 6 თებერვალს, „ლელოს“, ფურცლებზე პირველად დაისვა ოფიციალურად ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა და სპორტსმენთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის საკითხი. ჩვენი გაზეთის ახალმა თაოსნობამ მართლაც უჩვეულო ენთუზიაზმი გამოიწვია. მხარდაჭერის შესახებ ცნობები უწყვეტ ნაკადად მოგვდიოდა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. ყველა თვლიდა, რომ დროულია და თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი გადაწყვეტილება დარგობრივი პროფკავშირის შექმნის თაობაზე, რომელიც შეძლებს უშუალოდ გამოხატოს თავისი მუშაკების ინტერესები და სხვა დარგს არ იქნება მიკედლებული, როგორც ეს ათწლეულობით იყო.

საინიციატივო ჯგუფმა ყველაფერი გათვალისწინა. იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა კონკრეტულ წინადადებებსა და შენიშვნებს. რაიონებსა და ქალაქებში, სპორტულ ორგანიზაციებში, სპორტულ ბაზებზე ჩატარდა მხარდამჭერი კრებები, სადაც აირჩიეს დარგობრივი რესპუბლიკური პროფკავშირის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები. ახლახან კი კონფერენციაც ჩატარდა.

მაშ ახე, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მოხდა ღირსსახსოვარი მოვლენა — შეიქმნა დარგობრივი პროფკავშირი. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ნათქვამია. იმაზე, თუ თავიდანვე როგორ წარმართავს საქმეს | ახალშექმნილი პროფკავშირული ორგანიზაცია, დამოკიდებული იქნება მისი შემდგომი ავტორიტეტი.

სპორტის მუშაკებს და სპორტსმენებს, ვფიქრობთ, იმედი არ გაუცრუვდებათ.

მრავალფეროვანი, შეიძლება თამამად ითქვას, განსაკუთრებით გამორჩეული გახდება ამ პროფკავშირის საქმიანობა. გარდა იმისა, რომ იგი მუშაკთა და სპორტსმენთა სოციალურ ინტერესებს დაიცავს, იქმნება შესანიშნავი შესაძლებლობა, ორგანიზებულად წარმართოთ ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. მოსახლეობაში, განსაკუთრებით — უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში, გავაფართოოთ სპორტული ბაზების ქსელი. ეს საქმე ათწლეულების მანძილზე ხელმიშვებული იყო და ახლა, თუკი მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია და დარგობრივი პროფკავშირი ერთიანი ძალისხმევით მოჰკიდებენ ხელს, გვჯერა, პრობლემა უთუოდ გადაიჭრება. პროფკავშირს სახსრები ექნება, ასოციაციას — თითოეული კაპიკის მოსახლეობამდე მიტანისა და პრაქტიკულ საქმეში გამოყენების მექანიზმი. ვფიქრობთ, უურადსაღები წინადადებაა!

გზა დავულოცოთ დარგობრივ პროფკავშირს!

ტურნირები და შედეგები

ჩიკაგოსთან. ამერიკის ქალაქ კეი ბისკეინის (ფლორიდა) საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა პრემიის სახით 112,5 ათასი დოლარი მიიღო. ფინალში მან აჯობა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს, არგენტინელ გაბრიელა საბატინის.

● **სათხილამურო ორეული.** მსოფლიოს წლევანდელი თასი ნორვეგიელმა ფრედ ბერე ლუნდბერგმა მოიგო. შვეიცარიის ქალაქ სენტ-მორიცში გამარჯვების შემდეგ (ეს იყო თასის ბოლო ეტაპი) მას გაუხდა 142 ქულა. მეორე შედეგი აქვს ავსტრიელ კლაუს ზულტენბაჰერს — 137 ქულა, მესამე — ნორვეგიელ ტრონდ ეინარ ელდენს — 123 ქულა.

● **წყალში ხტომა.** ევროპის თასის გათამაშების პირველ სასეზონოში (შეჯიბრება შეფილდში მიმდინარეობს) — სამმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში — გაიმარჯვა სვერდლოვსკელმა ირინა ლაშკომ — 300,18 ქულა. ვაკები 1-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ: აქ ყველას აჯობა გერმანელმა რიჰარდ პუნცელმა — 242,18.

● **ცხენოსნობა.** ქალთა პრესტიჟული დღი „ლინკოლნ ჰანდიკაპი“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ინგლისში, მოიგო მასპინძელმა, ა. გრიგზმა (ცხენი ამენიბლი).

მსოფლიო რეკორდები

● **მძლეოსნობა.** სერგეი ბუბკა აგრძელებს რეკორდების სერიას ჭოკით ხტომაში. თავისივე მიღწევა მან ამჯერად საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გააუმჯობესა — 6 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე გადახტა. ალბათ გახსოვთ, წინა სამშაბათს დონეცკში ბუბკამ 6 მეტრი და 11 სანტიმეტრი გადალახა.

● **ტყვიის სროლა.** კალიფორნიის ქალაქ ჩინოში, მსოფლიო თასის ტურნირში პნევმატური შაშხანით სროლაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ვალენტინა ჩერკასოვამ. 40 გასროლით მან 399 ქულა მოაგროვა, ფინალური სერიის შემდეგ კი — 500,8.

მორაგეთა მატჩი გადაიდო

რობორც გვაცნობეს, გადაიდო თბილისის „ვეტერანი“ და ლენინგრადის „ელექტრომაშის“ მორაგეთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩი, რომელიც დღეისათვის, 26 მარტისთვის იყო დანიშნული. ამ შეხვედრის გამართვის თარიღს მოგვიანებით გაუწყებთ.

ჩვენი ისტორია

ფეხბურთი ქუთაისში

1909 წლის 22 ოქტომბერი ღირსშესანიშნავი თარიღია ქუთაისის სპორტის ისტორიაში. ამ დღეს ქალაქში ექსკურსიაზე მყოფმა თბილისელმა გიმნაზიელებმა ე. წ. ხოპერ კაბაკთა პოლკის მოედანზე პირველი საფეხბურთო მატჩი გამართეს ქუთაისში. დიდი იყო მასპინძლების ინტერესი სპორტის ახალი სახეობისადმი, თამაშს დიდძალი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის იყო მისი ბრწყინვალება ქუთაისის გუბერნატორიც.

სულ მალე ფეხბურთმა საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი ქალაქში. ფეხბურთის გუნდები ჩამოაყალიბეს ოფიცრებმა და ზასტაველებმა, საფიჩხიელებმა და ჯომელებმა, ბალახნელებმა და გოგოჭურულებმა. დილიდან საღამომდე ბიჭები ბურთის თამაშით ერთობოდნენ — უბანი უბანს, ქუჩა ქუჩას, ცოლიანები უცოლოებს ეჯიბრებოდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ქუთაისის სასწავლებლებთან ფეხბურთელთა გუნდები ჩამოყალიბდა.

1916 წელს საქალაქო გაზეთი „საშობლო“ იუწყებოდა: „კვირას 9 ოქტომბერს 3 საათზე ქუთაისში ხარაზოვის ბაღში გაიმართება შეჯიბრება „ფუტბოლის“ თამაშში. შეჯიბრება მოხდება ორ ჯგუფს შორის „ვეფხვი“ და „სპორტი“.

1917 წელს კლასიკურ გიმზანიაში მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს ფეხბურთის გუნდი „თერგის“ სახელწოდებით.

1965 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დავით ბადრიძემ და ქართული კინოს პიონერმა ლევან ხოტივარმა გვიამბეს, რომ იმ პერიოდში ქუთაისში „თერგთან“ ერთად ძლიერ გუნდებად ითვლებოდნენ რეალური სასწავლებლის „რიონი“ და ფეხბურთელთა სხვა კოლექტივები. მაშინ ფეხბურთელები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ყურადღებას და მზრუნველობას. ბიჭები საკუთარი სახსრებით იძენდნენ სპორტულ ფორმას და ინვენტარს. საფეხბურთო მატჩები იმართებოდა ქალაქგარეთ, კეთილმოწყობელ მინდვრებზე, შეხვედრებს უსაქმური-ადამიანები და რამდენიმე გიმნაზიელი თუ ესწრებოდა, რომლებიც ოვაციებს უმართავდნენ ფეხბურთის აღიარებულ მერცხლებს რიონისპირა ქალაქში.

1919 წელს სპორტულ საზოგადოება „შევარდენთან“ ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ფეხბურთის პროპაგანდის მიზნით საქალაქთაშორისო შეხვედრებს მართავდა მეზობელ ქალაქებსა და რაიონებში.

1922 წელს ახალშექმნილ სპორტსაზოგადოება „სპარტაკთან“ ქუთაისში დაარსდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც 1923 წლის 1 აგვისტოს ყოფილი რუბინის ქუჩის მოედანზე უმასპინძლა წითელი არმიის ნაკრებს. როგორც გაზეთი „შუშა და გლეხი“ იუწყება, „სპარტაკელებმა“ ანგარიშით 6:2 სძლიეს არმიელებს.

1921 წელს ქუთაისში კიდევ ერთი ფეხბურთის გუნდი ჩამოყალიბდა „ბაში-აჩუკის“ სახელწოდებით, რომელიც 1923 წლიდან იოსებ ხარაბაძის სახელს ატარებდა.

1923 წელს ქალაქში გამოჩნდნენ ახალი გუნდები „უაზბეგის“, „მესამე ინტერნაციონალის“ და „პროლეტარის“ სახელწოდებით.

ქალაქის სხვა გუნდებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, „ტრიუმფის“, „კიმის“, მე-3 ტექნიკუმის პირველი კატეგორიის ფეხბურთელთა კოლექტივები. „კიმის“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ს. ახობაძე, ა. მარზაშვილი, ს. კახაია, ა. ავალიანი, ი. მურღულია, ა. სკორობოგატოვი, ბურთის პირველი მკერავი სარგიჟიანეცი, ძმები ბაგატოველები და სხვები.

მაყურებელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ზასტაველ ფეხბურთელთა გუნდი „მერცხალი“, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: კოწია დათეშიძე, ალეკო გალუშკინი, ჭიჭიკო და ვალოდია მარგველაშვილები, შოთა ყულაძე, გიორგი ცინცაძე, სამუელ გვილავა, ვასიკო კიტოვანი, გივი კილაძე, კოლია გვარამაძე და ბიძინა გოგსაძე.

1924 წელს ქუთაისში პირველად ჩატარდა საქალაქო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ტრიუმფის“, ჰროფბიუროს, ქართული ლეგიონის, „კიმის“ ძლიერი გუნდები, ხოლო სხვა საფეხბურთო კოლექტივები მეორე და მესამე ჯგუფებში ასპარეზობდნენ. ქალაქის პირველი ჩემპიონის წოდება პირველი ჯგუფის გუნდებს შორის „კიმის“ მართლაც რომ ძლიერმა გუნდმა მოიპოვა.

1925 წლისათვის ქუთაისში ფეხბურთის ოცამდე გუნდი არსებობდა, რაც ნათლად მეტყველებს სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე რიონისპირა ქალაქში.

სამწუხაროდ, ქალაქში ფეხბურთის განვითარებას თან ახლდა მთელი რიგი შეცდომები. 1925 წელს გაზეთი „ფიზიკური კულტურა“ წერდა: „1924 წლამდე ფეხბურთი ქუთაისში თუმცა ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ მას ჰქონდა დამახინჯებული ხასიათი: ფეხბურთს არ ჰქონდა მუდმივი ადგილი წვრთნისათვის, არ ჰყავდა მწვრთნელები, არც იყო შესაფერი წეს-ჩვეულება. გუნდებს შორის არ იყო კავშირი და ყოველი გუნდი თამაშობდა ისე, როგორც მას ეხერხებოდა. არ ხელმძღვანელობდნენ არავითარი წესებით და გაწრიგით. ასეთ პირობებში ფეხბურთი ქუთაისში არ იდგა სათანადო დონეზე“.

ქართული ფეხბურთის სწორი გზით განვითარების მიზნით, 1925 წლის 22 სექტემბერს მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომების ხელმძღვანელებისადმი. მასში აღნიშნულია ის შეცდომები, რაც ახასიათებდა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კერძოდ კი ფეხბურთის განვითარებას. მიმართვაში ეკითხულობთ: „ფიზკულტურის საბჭოების მოწყობა ცენტრალურ და სამაზრო აღმასკომებთან დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, საუბედუროდ, მოწყობა ჯერ კიდევ ნორმალურ კალაპოტში არ ჩამდგარა. სხვა მიზეზთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის სამი გარემოება. პასუხისმგებელი ამხანაგების არასერიოზული მოპყრობა საქმისადმი, მათი უპასუხისმგებლობა და პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

არასერიოზული მოპყრობის ნიმუშია სხვათაშორის ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მაზრაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოართვა ფიზკულტურის საბჭოებს სავარჯიშო მოედნები და გადასცა გლეხებს დასამუშავებლად. ერთ-ერთ მაზრაში აღმასკომის თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, რათა ფეხბურთელთა გუნდებში მოთამაშეები შემცირებულიყო 11 კაციდან 5 კაცამდე, რადგან შტატის შემცირება ყველგან მოხდაო. ეს არ იკმარა ამ მაზრამ და უკანასკნელი დარბაზიც კი ჩამოართვა ფიზკულტურის საბჭოს“ (ქცა, ფონდი 296).

იმ პერიოდში ქუთაისში ჩამოყალიბდა ფეხბურთის ახალი გუნდი — „უაზბეგი“. მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გ. გოგსაძე იგონებს: „ყოფილი იურჩენკოს ქუჩის ბიჭებმა შეექმენით ფეხბურთელთა გუნდი „უაზბეგის“ სახელწოდებით, მაშინდელი წესების თანახმად გუნდის კაპიტნად ირჩევდნენ იმას, ვისაც ბურთი ჰქონდა და მე წილად მხვდა ეს ბედნიერება. მაჩემი ხარაზი იყო, ნარჩენი ტყავისაგან მე თვითონ შევკერე ტყავის ბურთი. შიგ ხარის ბუშტი ჩავდე, ბურთი გავბერეთ და ვთამაშობდით დილიდან საღამომდე“. „უაზბეგის“ ღირსებას იცავდნენ გ. გოგსაძე, დ. კაპანაძე, ვ. არველაძე, გ. ბეროძე, ო. და მ. გალუსტოვები, ა. გვანცელაძე და სხვები.

„ბაში-აჩუკი“. მარცხნიდან: ს. ლევიძე (№ 9), ა. ლევიძე (8), ზ. ლევიძე (7), ა. შენგელია (5), დ. გვენეტაძე (10), დ. ინახარიძე (11), პ. ჯაფარიძე (3), ნ. ბახილაძე (2), ვ. ბახილაძე (6), ვ. ბაზილევიჩი (4). ჩოხაშია იოსებ მახარაძე, ბურთით. შეკარე ო. ბეროძე (№ 1).

1925 წელს ქალაქში კიდევ ერთი საფეხბურთო გუნდი შეიქმნა — „ლოკომოტივი“. რომელიც ქუთაისის რკინიგზის კვანძის ბაზაზე ჩამოყალიბდა. გუნდის შექმნის ინიციატორები იყვნენ ფიზკულტურის ინსტრუქტორი საშა ლომთაძე და შალვა დარჩია. გუნდი ხშირად მონაწილეობდა საქალაქო გათამაშებაში, ხოლო ცოტა უფრო გვიან წარმატებით ასპარეზობდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“, ბათუმის, სამტრედიის, ზესტაფონის და ფოთის გუნდების წინააღმდეგ. „ლოკომოტივის“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ: საშურა ლომთაძე, შოთა კახაია, შალვა დარჩია, ბაგრატ სახელაშვილი, შალვა კუპრაშვილი, ნიკოლოზ რაჩკოვსკი, სოსო ახობაძე, ვალია მიხაილოვი, კარლო ფაჩულია, ლევან ფხაკაძე, ნიკოლოზ კიკნაძე და ვალოდია მარგველაშვილი.

1926 წელს ქუთაისის საფეხბურთო ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა. გადაახალისეს ფეხბურთის „ქვეგანაწევრის“ ფედერაციის შემადგენლობა, აირჩიეს ახალი წევრები გ. კილაძე, კ. ფაჩულია, შ. იმედაძე, ბ. გოგიძე და ი. კოტინოვი.

იმ პერიოდში საქალაქო პირველობაზე მოასპარეზე გუნდები სიძლიერის მიხედვით სამ ქვეჯგუფად დაანაწილეს. მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ „ტრიუმფის“, პროფკავშირის, ქართული ლეგიონის, „მერცხალის“ „კიმის“, მესამე ინტერნაციონალის სახელობის, წითელი ოქტომბრის სახელობის, „პიონერის“ კარლ ლიბკნეხტის სახელობის, „იუნკერსის“ და სხვა გუნდები.

1928 წლის ივნისში ქუთაისში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბაზაზე დაარსდა ამავე სახელწოდების ფეხბურთელთა გუნდი. სულ მალე ქუთაისის „დინამო“ ერთ-ერთ ძლიერ საფეხბურთო კლუბად იქცა, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმატებით ასპარეზობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე. ამ გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: გივი კილაძე, ბონდო კუტალაძე, ვალია მიხაილოვი, გერონტი ხაიდაროვი, ჩაბულო ბერულავა, ვანო კაპანაძე, კაკული ასათიანი, ლუტუშა ასათიანი, ალიოშა მარუაშვილი, პეტრე ჯაფარიძე, საშა ალიმონაკი, ჟორა მურღულია, დარჩია, ხახალეიშვილი.

1931 წლის 15 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქუთაისის „დინამოს“ სტადიონი. იმ პერიოდში რიონისპირა ქალაქს არაერთი უძლიერესი საფეხბურთო კოლექტივი ეწვია. იმავე წლის 12 ოქტომბერს ქუთაისის დინამოელებმა ანგარიშით 3:2 მოუგეს ყირიმის ფეხბურთელთა ნაკრებს. 8 ნოემბერს ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2 სძლიეს ქ. ივანოვო-ვოზნესენსკის ძლიერ გუნდს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ უშველავათო ბრძოლაში დაამარცხეს ვორონეჟელი ფეხბურთელები — 3:2.

1932 წლის საფეხბურთო სეზონის დასასრულს ქუთაისს სტუმრად ეწვია მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „პრომკოოპერაცია“, რომლის ბაზაზე 1935 წელს შეიქმნა შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი საფეხბურთო კოლექტივი — „სპარტაკი“.

დიდი იყო ქუთაისელების ინტერესი აღნიშნული მატჩისადმი. მათ იხილეს ცნობილი ფეხბურთელები: ძმები სტაროსტინების, სოკოლოვის, დემენტიევის და სხვათა ვირტუოზული თამაში. სტუმართა კომბინაციურ თამაშს მასპინძლებმა შესაფერი მონდომებულობა და კოლექტიურობა დაუპირისპირეს. მათ დაამარცხეს ძლიერი მეტოქე ანგარიშით 3:1.

მას შემდეგ, რაც 1936 წელს საფეხბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, გადაწყდა, რომ საკავშირო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში უნდა ეთამაშა მარტო ორი ქალაქის ნაკრებებს. არავინ სურდა, გუნდებს ქუთაისის დინამოელები რესპუბლიკის ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეები იყვნენ და გუნდმა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში არაერთხელ დაიკავა საპრიზო ადგილი.

საყურადღებოა, რომ იმ პერიოდში ქუთაისის „დინამოდან“ თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს: მ. ჭელიძე, უ. სალდაძე, ნ. ხერხაძე, ხოლო ცოტა უფრო გვიან შ. ვაჩაძე, მ. გერაძე და ი. სარჯველაძე.

1939 წელს ქუთაისში ჩამოიყვანეს ფეხბურთის კარგი სპეციალისტი გ. იასტრებოვი, რომელიც ქუთაისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ 40-იან წლებში ქუთაისის საფეხბურთო კოლექტივები წარმატებით ასპარეზობდნენ სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში.

1937 წელს ქუთაისის „პიშჩევიკმა“ წარმატებით იასპარეზა სევასტოპოლში ჩატარებულ ამავე საზოგადოების საკავშირო პირველობაზე, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. იმავე წელს ქუთაისის „მკერავმა“ ჯერ რესპუბლიკურ პირველობაზე იმარჯვა, როგორც სპორტსაზოგადოება „შვეიკის“ წარმომადგენელმა, ხოლო შემდეგ ოდესაში იმავე სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ გათამაშებაში ქუთაისის „მკერავის“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ კ. ასათიანი, ს. ასათიანი, ა. მეფარიშვილი, გ. სვანიძე, გ. ფურცხვანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. სოფრომაძე, ს. ალიმონაკი, ნ. ხერხაძე, გ. ფხაკაძე, ე. ნიჟარაძე, ა. მესხი. გუნდს წვრთნიდა ს. ალიმონაკი.

40-იან წლებში რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა „კრასნაია როზას“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ჩამოყალიბდა ქალაქის ერთ-ერთი მძლავრი საწარმოს, აბრეშუმკომბინატის ბაზაზე. გუნდში თამაშობდნენ: ს. კეკელია. ჯ. სოფრომაძე, კ. ხვედელიძე, დ. იამანიძე, ს. ლოსაბერიძე, ი. მორჩაძე, კ. გაბუნია, მ. თურქაძე, ვ. ცინცაძე, ლ. ნიშნიანიძე და დ. შავგულიძე. ამ გუნდმა 1938 წელს „კრასნაია როზას“ რესპუბლიკურ პირველობაში გაიმარჯვა. იმავე წელს ამავე სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე, რომლის ფინალი ქუთაისში გაიმართა, საქართველოს „კრასნაია როზას“ ნაკრები გუნდი (იგი ქუთაისელი, თბილისელი, მახარაძელი და სამტრედიელი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული) ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1. დამარცხდა მოსკოველებთან და საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

1940 წელს რესპუბლიკის ჩემპიონატში II ჯგუფის გუნდებს შორის წარმატებით იასპარეზა ქუთაისის „ბურევესტნიკმა“, რომელმაც დაამარცხა ტყიბულის ნაკრები ანგარიშით 9:3, ჭიათურის გუნდი — 6:1, ცხაკაიას ნაკრები — 1:0, ხოლო ფინალში სძლია გორის ნაკრებს ანგარიშით 3:1 და პირველ ადგილთან ერთად პირველად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონატის I ჯგუფში ასარეზობის უფლება.

გუნდის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს: ასათიანმა, ლორთქიფანიძემ, ჭუმბურიძემ, ძოძუაშვილმა, ბოდოკიამ, კაჭარავამ, ქორქაშვილმა, გიორგაძემ, სირაძემ, ფხაკაძემ, გაბუნიამ, ჯ. და მ. გიგაურებმა, რუხაძემ და სხვებმა.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეწყვიტა ჩვენი რესპუბლიკის და, რაღა თქმა უნდა, რიონისპირა ქალაქის საფეხბურთო ცხოვრება.

ზურაბ ჯავახაძე
ქუთაისი.



სიახლე მოზარდებში ფიზიკური გადახრის დიაგნოსტიკაში

სამწუხაროდ, ბოლო 7 წლის სტატისტიკური მონაცემებით რესპუბლიკაში კატასტროფულად იზრდება ფიზიკურ განვითარებაში სერიოზული გადახრების მქონე მოზარდთა რიცხვი. დღემდე დიაგნოზის დასადგენად საჭირო იყო რთული რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

ამჟამად, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრში დადგეს ისეთი ექსპრეს-დიაგნოსტიკის საინფორმაციო აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა რამოდენიმე წუთში განისაზღვროს ბავშვის ორგანიზმის ფიზიკური განვითარების ხარისხი, სკოლიოზის, კიფოზის, ლორდოზის, ტერფმრუდობის, ბრტყელტერფიანობის ადრეული დიაგნოსტიკა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის არამარტო აღნაგობისა და ახოვნების ჩამოყალიბებაში, არამედ, იმ ურთულეს დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებზედაც ზემოთ ითქვა.

ჯანმრთელობის ცენტრისა და მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის ერთობლივი შეთანხმებით ცენტრი მზადაა საბავშვო ბაღების ყველა აღსაზრდელებს უსასყიდლოდ მოემსახუროს. დაავადების შემთხვევაში. შემოწმების შემდეგ ადრეულ სტადიაში დადგინდება დიაგნოზი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რაც, ვფიქრობთ, უთუოდ დაიინტერესებს, როგორც მშობლებს, ისე საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებს და ხელს შეგვიწყობენ მოზარდების ორგანიზებულად შემოწმებაში. აქვე დავძენთ, რომ მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია, რომელიც ერთობლივად შექმნეს ფიზკულტურისა და მედიცინის მუშაკებმა, ახლო მომავალში ჩამოაყალიბებს გამაჯანსაღებელ და სამკურნალო ფიზკულტურის ჯგუფებს. პირველ ყოვლისა, კი მუშაობა დაიწყება სწორედ სკოლამდელ და სასკოლო ასაკის კონტიგენტთან. ამდენად, ის მოზარდები, რომლებსაც აღმოაჩენდებათ ფიზიკური გადახრები, უმალვე ჩაირიცხებიან ჯგუფებში, მეცადინეობებს მეთოდისტები ექიმების მეთვალყურეობით ჩაატარებენ. ჯგუფები უშუალოდ საბავშვო ბაღებში და სკოლებში გაიხსნება. გამაჯანსაღებელ ცენტრში კი იმუშავებს დიაგნოსტიკისა და სამკურნალო-აღდგენითი პროცედურების ორი კაბინეტი.

გამაჯანსაღებელი ცენტრის მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის 49, ფიზკულტურის ინსტიტუტის ღია საცურაო აუზი, II სართული.

ამ სახელებს კიდევ შევხვდებით

მოზარდთა საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში, რომელიც ანზორ კოკნაძის სახელს ატარებს, ჩაშლა ემუქრებოდა რესპუბლიკაში და საერთოდ კავშირში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების გამო. მაგრამ გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც ყველაფერი იღონეს — სპორტის სასახლის თანამშრომლებმა სრულიად უსასყიდლოდ დაუთმეს ნორჩ ფალავნებს სარბიელი. ტურნირს სპონსორობა გაუწია სიღნაღის მეღვინეობის კომერციულმა ფირმამ და ცეკავშირის ქსნის რესპუბლიკურმა საკავშირო ბაზამ.

პირველი დღის შეხვედრებიდან გულშემატკივრებს ალბათ დაამახსოვრდათ თბილისელ მიშიკო აბაშიძის ჭიდაობა (49 კგ), რომელმაც მაყურებელთა „გულისწყრომაც" კი დაამსახურა — „არ აყურებინა" ჭიდაობას — ყველა ორთაბრძოლა ვადაზე ადრე, ზოგი კი, რომ იტყვიან, „თვალის დახამხამებაში" დაამთავრა და ისე გახდა ტურნირის ლაურეატი. გოგოებიდან თავი დაგვამახსოვრა მძიმეწონოსანმა თეა დონღუზაშვილმა — მანაც ყველა ორთაბრძოლა წმინდად მოიგო, ნახევარფინალური შეხვედრა კი მართლაც რომ სარეკორდო დროში — 3 წამში (!) დაასრულა თავის სასარგებლოდ. თეას არც ფინალში დაუწყვეტია გული მაყურებლისთვის, აქაც წმინდად გაიმარჯვა. ჭაბუკებში ამ დღეს მეორე „ოქრო" 57 კგ წონაში მოასპარეზე გოგიტა რევაზიშვილმა დაიმსახურა.

სანახაობრივი ელფერი არც მეორე დღეს დაჰკლებია ტურნირს. გიორგი ვაზაგაშვილმა (62 კგ), მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა, წარმატებებით დაიწყო ასპარეზობა. ვისაც იგი ტატამზე უნახავს, დაგვეთანხმება, რომ გ. ვაზაგაშვილი არაფრით ჩამოუვარდება პროფესიონალ მოჭიდავეს: შეუბორკავად იბრძვის, მის „რეპერტუარში" ილეთების ნაირფეროვნებაა. ისე განვლო გიორგიმ ტურნირი, ყველა ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო. არც მამუკა ღუზარაულს (68 კგ) სჭირდება წარდგენა ქართველი ჭიდაობის მოყვარულების წინაშე. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მასაც საკუთარი ხელწერა აქვს, ყველა მეტოქე აშკარა უპირატესობით დაჯაბნა და გაიმარჯვა კიდეც. ალექსანდრე ღვინიაშვილის (75 კგ) გამარჯვებაც ერთობ სასიხარულოა, რადგან გადამწყვეტ შეხვედრაში მან დაამარცხა მოსკოველი მ. ვეტროვი, რომელიც შარშან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე სამბოშიც და ძიუდოშიც გამოდიოდა.

შეჯიბრების ბოლო დღეს ჩვენი მოჭიდავეებიდან მხოლოდ ერთმა დაიკავა პირველი ადგილი — მძიმეწონოსანმა [illegible] ვითაშვილმა. [illegible] საკავშირო ნაკრების წევრი ს. ანიაზკინი დაამარცხა.

მასპინძლების გარდა თბილისის სპორტის სასახლეში ისპარეზეს საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის ჭაბუკმა ჭოჭიდავეებმა. სტუმრებს მხოლოდ ერთი საპრიზო ადგილი ხვდათ — გერმანელმა ფრანკ ფოსმანმა მესამე ადგილი დაიკავა.

ა. კიკნაძის სახელობის ტურნირში პოლონელი გოგოები მეორედ მონაწილეობდნენ. მათ აშკარად გაამძაფრეს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა ჩვენი გოგოებისთვის. კარგი გაკვეთილი გახლდათ მათთან ძალების გამოცდა.

პირველ დღეს თეა დონღუზაშვილის გარდა, უძლიერესის წოდება მოიპოვეს პოლონელმა მონიკა სვიატკევიჩმა (66 კგ) და ოლგა ვოროგიოვამ. შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის ძირითადად პოლონელი და საკავშირო ნაკრების წევრები იბრძოდნენ.

ამ სახელებს მომავალში არაერთხელ შევხვდებით.

ბია გურდული

ა. კოტორაშვილის ფოტო.

წაგება ჩაეთვალათ

ქუთაისის „ქუთაისის" ფეხბურთელთა გუნდს, განვლილი ორი ტურის მატჩებში ოჩამჩირის „ამირანთან" და ვანის „სულორთან" წაგება ჩაეთვალა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ქუთაისელთა გუნდის ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრებში სამი მინდვრის ფეხბურთელი შეცვალა; დებულებაში კი გარკვეული წერია, რომ საქართველოს ერთიანეულ ჩემპიონატში შეიძლება ორი მინდვრის მოთამაშისა და ერთი მეკარის შეცვლა. ასე რომ, ქუთაისელები ჩემპიონატს ნოლი ქულით გააგრძელებენ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **უველა** წესს აქვს გამონაკლისი, მაგრამ ინგლისელები დათმობაზე იშვიათად მიდიან. ამიტომ გასაკვირი იყო ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურთა გადაწყვეტილება ინგლისის თასის ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩის ლონდონში „უემბლის" ცნობილ სტადიონზე გამართვის თაობაზე (14 აპრილს). საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე „უემბლიზე" მხოლოდ ფინალური შეხვედრები იმართებოდა. მიმომხილველთა აზრით, ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ თასის გათამაშების გადამწყვეტ ეტაპს შემორჩა ლონდონის სამი კლუბი („ტოტენჰემი", „არსენალი", და „ვესტ ჰემი"), ეს უკანასკნელი ნახევარფინალს ითამაშებს ბირმინჰემში, ადგილობრივ „ნოტინგემ ფორესტთან", „უემბლი" კი „ტოტენჰემსა" და „არსენალს" დაეთმობათ.

● **ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩის დროს (დრეზდენის „დინამო" — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა") თავაშვებულ ხულიგნებთან შეტაკებაში ოთხი პოლიციელი მძიმედ დაშავდა. უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთა განცხადებით ხულიგნები გასამხედროებული დაჯგუფებების მეთოდებით მოქმედებდნენ და ამიტომაც აღმოჩნდა ძნელი მათი უვნებელყოფა. გერმანიის პოლიცია გულდასმით იკვლევს ამ ორგანიზებული დაჯგუფებების საკავშირო ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის სპეციალურ სამსახურთან.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციას (ისსფ) განზრახული აქვს, ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნოს ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი და სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი. ფიქრობენ, რომ გარიგება საბოლოოდ აპრილის პირველ რიცხვებში მოხდება.

● **„ლივერპულის"** ერთ-ერთი [illegible] ფეხბურთელი და გუნდის კაპიტანი ტონი ადამსი მოკლალი მართავდა მანქანას, რის გამოც დააკავეს და 8 კვირით ჩასვეს სატუსაღოში. ამ დღეებში დამბაშავე განთავისუფლდა. „ცოდვებისაგან განწმენდილი" ფეხბურთელი ინგლისის ფედერაციამ მაშინვე ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხა და გააგზავნა საწვრთნელ ბაზაზე, სადაც გუნდი ირლანდიელებთან შეხვედრისთვის ემზადება.

ხრისტო სტოიჩკოვი— სნაიპერი

ხრისტო სტოიჩკოვი, შეიძლება ითქვას, ახალი კაცია ევროპულ ფეხბურთში, თუმცა წოდებები მას ნამდვილად არ აკლია — იგი აღიარეს ბულგარეთის №1 ფეხბურთელად, ამ ქვეყნის ნაკრებში 27 მატჩი ჩაატარა, თავის ქვეყანაში უდავო პოპულარობით სარგებლობს, 1990 წლის საზონის შედეგებით „ფრანს ფუტბოლის" ცნობილი პრიზის „ოქროს ბუცის" მფლობელიც გახდა უგო სარჩესთან (მადრიდის „რეალი") ერთად. ორივე სნაიპერმა 38-38 ბურთი გაიტანა.

ხრისტო სტოიჩკოვი დაიბადა 1966 წლის 8 თებერვალს. თამაში დაიწყო პლოვდივის „მარიცაში", შემდეგ გამოდიოდა „ჰებროსში" (ხარმანლი). ახალგაზრდა თავდამსხმელის ნიჭმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. იგი პოპულარულ ცსკა-„სრედეცში" მიიწვიეს, სადაც ზედიზედ სამჯერ გახდა ბულგარეთის ჩემპიონი. შარშანდელი ხაფხულიდან ესპანეთის „ბარსელონაშია", რომელმაც ამ თავდამსხმელში 4 მილიონი დოლარი გადაიხადა და აკი არც მოტყუებულა. სტოიჩკოვი ამ გუნდის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი გახდა, მას დიდად აფასებს მწვრთნელი იოჰან კრუიფი. იგი 181 სმ. სიმაღლისაა, იწონის 77 კგ-ს, ჰყავს ცოლი და შვილი.

ახლა გავეცნოთ ნაწყვეტებს ლაურეატის ინტერვიუდან. რომელიც [illegible] საუკეთესო ფეხბურთელი და [illegible]

● თქვენ უკვე მეორედ დაგახელეს ქვეყნის №1 ფეხბურთელად, ასევე მეორედ — ბულგარეთის საუკეთესო სპორტსმენთა შორისაც. გვითხარით, რომელი უფრო გახარებთ?

— მეორე, რადგან დამასახელეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს შორის. ეს არა მარტო ჩემი თამაშის აღიარებაა — ვირწმუნე ისიც, რომ ბულგარულ ფეხბურთზე ჯერ საბოლოოდ არ ჩაუქნევიათ ხელი, რომ ჩვენ კიდევ გვაქვს [illegible]ლებელი ეალები.

● რატომ არ დაეხმარით უძლიერესი სპორტსმენების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს?

— ესპანეთში ამ დროს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური იყო.

● მაგრამ თქვენ ხომ დისკვალიფიცირებული იყავით და მატჩში მონაწილეობის უფლება არ გქონდათ?

— დიახ, მაგრამ პროფესიულ ფეხბურთში დისკვალიფიკაცია არავის ათავისუფლებს ვარჯიშისგან. პროფესიულ ფეხბურთს თავისი კანონები აქვს.

● არ ნაღლობთ, რომ დისკვალიფიკაცია მიიღეთ?

— ძალიან. მსაჯებს ოფიციალურად ბოდიშიც მოვუხადე.

● იოჰან კრუიფი თუ გიცავდათ?

— წარსულში ეს განთქმული [illegible]

შან ნოემბერში დაეკვალა, როცა ა. დი სტეფანომ უელსელი ჯონ ტოშაკი შეცვალა, მაგრამ მადრიდის განთქმული კლუბი კვლავ წარუმატებლად თამაშობს: ესპანეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა, გამოეთიშა ქვეყნის თასის გათამაშებას და ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირსაც.

ა. დი სტეფანო კვლავ მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის მრჩევლად იმუშავებს.

● **ცნობილი** არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას სახელი არ სცილდება იტალიის გაზეთების ფურცლებს, თუმცა, როგორც იუწყებიან, მარადონა ცდილობს თავი აარიდოს კორესპონდენტებთან შეხვედრას, ვინაიდან ყოველი ინტერვიუ, მისი აზრით, დაკითხვას უფრო ჰგავს. მარადონა უარყოფს ყოველგვარ კავშირს ნარკომაფიასთან, აგრეთვე, მეძავი ქალების ცი[illegible]ებს და თავისი თანაგუნდელების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს.

● **30 მარტს** პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე დანიშნული იყო ევროპის ჩემპიონატის მატჩი საფრანგეთისა და ალბანეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მაგრამ ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ამას წინათ, თხოვნით მიმართა უეფა-ს იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, თამაში მოგვიანებით გაიმართოს.

● **პორტუგალიის** ხელმძღვანელობა 6 მილიონ დოლარს იოხოვს ვალდოს საფასურად. ამ ბრაზილიელი ფეხბურთელის შესყიდვა სურდა იტალიის „ბარის", მაგრამ 6 მილიონი ამ კლუბს ეძვირა. ვალდოს შეძენა სურთ იტალიის სხვა კლუბებსაც — „ფიორენტინას", „იუვენტუსს", „ნაპოლის".

● **მიუნხენის** „ბაიერნის" მცველს შტეფან როიტერს განზრახული აქვს იტალიის „იუვენტუსში" გადასვლა. თუ ეს გარიგება მოხდა, შ. როიტერი მერვე ფეხბურთელი იქნება მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონის გერმანიის ნაკრების შემადგენლობიდან, რომელიც იტალიაში ითამაშებს. კონტრაქტის საკვარაუდო თანხაა 3,5 მილიონი დოლარი.

● **იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ განიზრახა თავის კლუბებში უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობა სამიდან გაზარდოს ოთხამდე. ამ საკითხის გადაწყვეტა ნავარაუდევია სულ მალე, აპრილში, კანონი კი ძალაში უნდა შევიდეს მომავალი სეზონიდან.

● **როგორც** ცნობილია, ნიგერიამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. მაგრამ ნიგერიელები, ეტყობა, თავიანთ კანდიდატურას მოხსნიან აფრიკის სხვა სახელმწიფოს — მაროკოს სასარგებლოდ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორობის სურვილი უფრო ადრე გამოთქვა.

500 მატჩის შემდეგ

იუგოსლავიაში აღინიშნა თავისებური იუბილე — ეროვნული ნაკრების მე-500 მატჩი. მისი დებიუტი ანტვერპენში 1920 წელს სრული ფიასკოთი დამთავრდა — გუნდი ჩეხოსლოვაკიელებთან ანგარიშით 0:7 დამარცხდა. მას შემდეგ იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებმა მოიგო 238 მატჩი, 164 წააგო და 98 ფრედ დაასრულა. ყველაზე ღირსსახსოვარი გამარჯვებებია ბრაზილიელებთან — 8:4, ინგლისელებთან — 5:0, იტალიელებთან — 6:1, ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში ითამაშა დრაგან ჯაიჩმა — 85, ყველაზე მეტი გოლი კი ბობეკმა გაიტანა — 38.

ფლეულს, ივლისში

როგორც არგენტინის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ განაცხადა, ივლისში მისი გუნდი მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ამერიკის თასის (იგივე ჩემპიონატი) გათამაშებაში, რომელიც ჩილეში გაიმართება. იგი ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან შემდგარი ნაკრების გამოყენებას აპირებს, რომელსაც დაემატება უცხოეთში მოთამაშე ორი-სამი გამოცდილი მოთამაშე.

საკავშირო პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა ფეხბურთში საკავშირო პირველობის II ტურის შეხვედრები. უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (მოსკოვი) 3:0, „დნიპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ცსკა 1:5, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „არარატი" (ერევანი) 0:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „ფაჩთაკორი" (ტაშკენტი) 2:1, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0, „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიევი) 2:2 „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) 1:1.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

• ქალები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „მედინი“ (დონეცკი) 80:78 (34:41).

თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის სასახლე. 23 მარტი.

ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (22), ყიფშიძე (3), ხირაძე (15), მხეიძე, (21), ბუიღლიშვილი (3), ომაძე, კურტანიძე (4), მ. მაისურაძე (10), ლ. მაისურაძე (2).

„მედინი“: ბონდარენკო (3), ბურენოკი (12), სიმონენკო (8), ბუტირინა (6), ნევზოროვა (8), მეტელიცა (2), მედვედევა (25), მალიშევა (12), ნოვაკი (2).

მსაჯები: გ. სოკოლოვი (ლენინგრადი), ვ. ლიმაევი (ბაქო).

ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ეს შეხვედრა ასეთი დაძაბული გამოდგებოდა. დონეცკელთა კოლექტივი არ გახლავთ ის გუნდი, რომელსაც მაღალი ადგილებისათვის ბრძოლის უნარი შესწევს. თბილისელებმა პირველი წრის შეხვედრა დონეცკში თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, რამაც, ვფიქრობ, გავლენა იქონია მათს საბრძოლო განწყობილებაზე — პირველივე წუთებიდან ჩვენი გოგოები დუნედ, მოშვებულად თამაშობდნენ. სტუმრებმა ეს, ცხადია, უმალ იგრძნეს და ტემპს უმატეს. ჩვენი კალათბურთელები ბევრს ცდებოდნენ, არაზუსტად ტყორცნიდნენ, ასე, რომ, მათი მარცხი პირველ ნახევარში ლოგიკური იყო.

შესვენების შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ სხვაობა ანგარიშში იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენს გოგოებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა ნეტოქისთვის „ხელიდან გამოეგლიჯათ“ გამარჯვება.

დღეს ჩვენი კალათბურთელები სვერდლოვსკის „ურალმაშს“ უმასპინძლებენ.

კალეიდოსკოპი

სნაიპერის ლიტერატურული დებიუტი

„გრეცკი: ავტობიოგრაფია“ — ასე დაასათაურა სახელგანთქმულმა კანადელმა ჰოკეისტმა თავისი პირველი წიგნი, რომელიც „სპორტს ილუსტრეიტედის“ კორესპონდენტ რიჩარდსონთან ერთად დაწერა. ოცდარვა წლის ფორვარდის ამ მემუარებში აღწერილია პერიოდი ეზოს მინისაცეგურაოზე გადადგმული პირველი ნაბიჯებიდან ედმონტონის იმ ტრიუმფულ ღამემდე, როდესაც უეინ გრეცკიმ ადგილობრივ კლუბ „ოილერსს“ მეოთხედ მოაპოვებინა სტენლის თასი. მიმომხილველთა აზრით, წიგნი საგრძნობლად განსხვავდება სხვა მსგავსი გამოცემებისგან იმით, რომ ავტორი არ ესწრაფვის საკუთარი „მე“-ს წარმოჩენას და ტალახში არა სვრის მოწინააღმდეგეებს. იმასაც აღნიშნავენ, რომ კალამმომარჯვებული სხვა ვარსკვლავებისაგან განსხვავებით, წიგნში არაა მოთხრობილი არც თვით გრეცკისა და არც სხვათა სასიყვარულო თავგადასავლებზე.

ჰოკეისტის თაყვანისმცემელთა აზრით, ლიტერატურულმა დებიუტმა დაამტკიცა, რომ ჰოკეის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერს გრეცკის ტყუილუბრალოდ არ უწოდებენ დიდსა და განუმეორებელს.

მუშვიდოგით, „დინამო“

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების გაზეთი „ვიესნიკი“ იტყობინება, რომ ქვეყნის ერთ-ერთი ცნობილი საფეხბურთო კლუბი „დინამო“ ამიერიდან „ხორვატიად“ იწოდება. წინადადებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრაინიო ტუჯმანმა.

ოლიმპიადის დასაცავად

ესპანეთის მთავრობამ საგანგებო სხდომაზე იმსჯელა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროს მოსალოდნელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე. სხდომა ბარსელონასთან მომხდარი აფეთქებიდან სამი დღის შემდეგ გაიმართა. —ერთი წუთითაც არ უნდა მოვდუნდეთ, რადგან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია თამაშების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის, — განაცხადა ესპანეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ოლიმპიური კომისიის წევრმა ჰავიერ სოლანამ. მისი სიტყვების აქტუალობას ადასტურებს ტერორიზმის საგანგაშო ქრონიკა. ახლახან ბასკმა სეპარატისტებმა მანჭანაში ჩადებული ბომბის აფეთქებით ექვსი პოლიციელი გამოთალმეს სიცოცხლეს.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 380 მილიონი დოლარი გამოყვეს. ერთი თვის წინათ ბარსელონაში თავი მოიყარეს უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებმა, რომლებმაც საჭირო რჩევები მისცეს ესპანელ კოლეგებს.

მერხს უნდა მიუჯდეს

ნიუ-იორკის რაიონ ბრუკლინის უღარიბეს უბანში გაზრდილმა მძიმე წონის სახელგანთქმულმა პროფესიონალმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა ცოდნის დანაკლისის შევსება გადაწყვიტა. მან ახლახან განაცხადა, რომ სურს კვლავ მიუჯდეს მერხს. მასწავლებლები მოკრივეს სახლში მიაკითხავენ. იმედია, წლოვანი მოსწავლე კლასში არ დარჩება. იმის მიუხედავად, რომ ტაისონი ოჰაიოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არის არჩეული, სხვა გზა არ არის, დასაწყისისთვის საშუალო განათლებას უნდა დასჯერდეს.

კბილი — ექსპონატი

საკუთარი სახსრებით უჩვეულო მუზეუმი შექმნა კანადის პროფესიული ჰოკეის კლუბის „ნიუ-ჯერსი დევილზის“ მეკარემ კ. რეშმა.

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია ჰოკეის მეკარის ყველა დროის აღჭურვილობა. აქვეა ცნობილი ჰოკეისტების „ავტოგრაფებით“ შემკული სპორტული სამოსიც. მუზეუმში ნახავთ მატჩების დროს გულმოსული მაყურებლების მიერ ტინულზე გადმესროლილი ჯაბანსა ათების კოლექციასაც.

ექსპონატებს შორის განსაკუთრებით „ფასიულია“ ცნობილი კლუბის „მონრეალ კანადიენსის“ სახელგანთქმული თავდამსხმელის მორის რიშარის ჩატეხილი კბილი, რომლის ორიგინალობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი იქვეა წარმოდგენილი.

მოამზადა ბელა ჯიღაურმა.

ბაშირ ვარაევი და კატრინ არნო

ევროპის საუკეთესო ძიუდოისტები

ევროპის ძიუდოს კავშირმა შარშანდელი სეზონის შედეგების გათვალისწინებით კონტინენტის საუკეთესო მოჭიდავის სახელი მიანიჭა ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, სეულის ოლიმპიური თამაშებისა და ორი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, 31 წლის გროზნოელ ათლეტს ბაშირ ვარაევს.

ქალთა შორის ანალოგიური ტიტული მიეკუთვნა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, 31 წლის ფრანგ ძიუდოისტს კატრინ არნოს (56 კგ), რომელიც, ამავე დროს, კონტინენტის უძლიერესი ძიუდოისტის სამოქროს მედალს ფლობს. საინტერესოა, რომ კატრინი ბავშვობაში ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ძმებმა ურჩიეს, თავი დაენებებინა ქალთათვის შეუფერებელი სპორტის სახეობისთვის. მაშინ მან ძიუდო ირჩია და მწვრთნელ ივ დელვენის ხელმძღვანელობით ასეთ წარმატებებს მიაღწია.

დერეკ უორვიკი:

„მთავარია რისკი“

„ფორმულა I“ კლასში მოსაპარეზე პილოტი, დერეკ უორვიკი არასდროს ყოფილა მშიშარა. „მონაკოს“ ტრასაზე, იტალიაში, „ლოტუს-ლამბორიგინის“ საჰესთან გაცდილი მძიმე ავარიის შემდეგაც არაერთხელ გამოვიდა სტარტზე.

დერეკ უორვიკმა, რომელმაც 131 ეტაპში იასპარეზა, კარგად იცის, რა უნდა აკეთოს.

ბოლო დროს, უორვიკის მთავარი საზრუნავი იყო ის, რომ „ლოტუსიდან“ სხვა, უფრო ძლიერ გუნდში გადასულიყო 1991 წლის სეზონისთვის.

ვერც ერთი მნახველი ვერ დაიჯერებს იმ მომენტს, როცა უორვიკი დამსხვრეული „ლოტუსიდან“ ამოძვრა და გაზონიდან ადევნებდა თვალს ტრასის შუაში მიტოვებულ ავტომობილს იმაზე ფიქრით, თუ რა მოჰყვებოდა საწვავის აფეთქებას. შემდეგ, იმის მაგივრად, რომ ხელი ჩაექნია, ინგლისელი პილოტი გაიქცა ბოქსისკენ, რათა სათადარიგო ავტომობილით გამოსულიყო განმეორებით სტარტზე.

არავინ დაინტერესებულა იმით, თუ რატომ გამოეთიშა ასპარეზობას ინგლისელი პილოტი 13 წრის შემდეგ. იმ დღეს უორვიკი ნამდვილი გმირი იყო.

„არ ვაპირებ სპორტის მიტოვებას. ჯერ ასპარეზობა მსურს, სხვა არაფერი. „მონაკოზე“ მომზდარი კატასტროფა, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ის არ იყო დიდი ყურადღების ღირსი. მრბოლებმა კარგად ვიცით, რომ ჩვენს პროფესიაში მთავარია რისკი, სხვანაირად გამარჯვება შეუძლებელია“ — განაცხადა ინგლისელმა პილოტმა.

ამ შემთხვევის შემდეგ, უორვიკმა დაამტკიცა, რომ ფუჭად არ ჩაუვლია ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის, კონსტრუქტორთა და პილოტთა შრომას, რათა „ფორმულა I“ კლასის ავტომობილის მართვა უსაფრთხო ყოფილიყო.

მაშინდელმა კატასტროფამ ხელი შეუწყო უორვიკის, როგორც სპორტსმენის და ადამიანის პოპულარობას, მას სრულიად უცნობი ხალხი ურეკავდა ტელეფონით და ამხნევებდა. ისეთი ცნობილი პიროვნებებიც კი, როგორიც არიან სტირლინგს მოსი და ჯეკი სტიუარტი, ამაყობენ იმით, რომ უორვიკს ახლოს იცნობენ.

ინგლისელ პილოტს ბედი არ სწყალობს მთელი სპორტული კარიერის მანძილზე. 1981 წელს „ფორმულა I“ კლასში დებიუტიდან დღემდე იგი უძლიერესის წოდების მოპოვებაზე ოცნებობს.

როცა „რენო“ სასტიკად დამარცხდა 1984 წელს, დერეკ უორვიკმა ბელგიისა და ინგლისის „გრან პრის“ გათამაშებაში მეორე ადგილები დაიკავა.

მაშინდელი სეზონის ბოლოს, უორვიკმა თავის ნამოქმედარს „მთელი ცხოვრების მანძილზე ჩადენილი უდიდესი შეცდომა“ უწოდა. მას „ლოტუსი“ და „უილიამსი“ იწვევდნენ, მაგრამ ინგლისელი პილოტი ძველ გუნდში, „რენოში“ დარჩა.

1985 წლის ბოლოს „ლოტუსის“ წარმომადგენელი კვლავ შეხვდა უორვიკს, მაგრამ შემდეგ აირტონ სენას მიწვევა არჩია და ინგლისელმა პილოტმა მომდევნო სეზონი



დერეკ უორვიკი

(1986 წ.), „ბრებემთან“ დაასრულა, სადაც ბოლო 10 ეტაპში შეცვალა საფრანგეთში, „პოლ რიკარზე“ ტესტირების დროს დაღუპული იტალიელი ელიო დე ანჯელისი.

შემდეგი სამი სეზონი უორვიკმა „ეროუზში“ გაატარა. სწორედ ამ დროს, მეოთხე ცდის შემდეგ, გადაწყდა ინგლისელი პილოტის „ლოტუსში“ გადასვლა, მაგრამ აქაც პრობლემები დახვდა უორვიკს. „ლოტუსი“ დიდი ხანია კრიზისს განიცდიდა და შარშან ეს იმითაც გამოიხატა, რომ გუნდმა დაკარგა სპონსორი ფირმა „ქემელის“ სახით და აგრეთვე ძრავა „ლამბორგინი“ — ორივე ფირმამ გააუქმა თავიანთი კონტრაქტები.

ამ სიტუაციაში დერეკ უორვიკმა გადაწყვიტა მოლაპარაკება დაეწყო „ბრებემთან“ და „უილიამსთან“.

ინგლისელ პილოტთან კონტრაქტის დამყარება ძალიან ადვილია. იგი ყოველთვის მზადაა დასახმარებლად და ცდილობს დაძაბული სიტუაცია ოხუნჯობით, ხუმრობით განმუხტოს.

ეს ნათლად გამოჩნდა „მონაკოზე“ განმეორებითი სტარტის წინ, როცა უორვიკი, კატასტროფის შემდეგ, გაღიმებული ესაუბრებოდა ცნობისმოყვარე კორესპონდენტებს.

„კიდევ ოთხ-ხუთ წელს ვიასპარეზებ იმ შემთხვევაში, თუ საიმედო ავტომობილს მივიღებ, თუ არა და სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს“ — განაცხადა 36 წლის უორვიკმა.

ყველა ავტომრბოლს ერთი მიზანი აქვს — იყოს მსოფლიოში საუკეთესო, თუმცა, უორვიკი თვითონვე ასკვნის: „რა პირველობაზეა საუბარი, როცა აქვეა ორი ბრაზილიელი, ორი ფრანგი და მრავალი იტალიელი, რომელთა წინააღმდეგ ყველგან და ყოველთვის ვმარცხდები“.

შარშან „იაგუარის“ ყოფილმა პილოტმა, რომელიც 1986 წელს სპორტული ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზის მფლობელი გახდა, ახალი კონტრაქტი გააფორმა ამ სახელგანთქმულ გუნდთან. ამით დასრულდა დერეკ უორვიკის კარიერა „ფორმულა I“ კლასში. მან უკვე იასპარეზა „იაგუარით“ წლევანდელი სეზონის პირველ რბოლაში, რომელიც გაიმართა ამერიკაში და ცნობილია „დეიტონის 24-საათიანი რბოლის“ სახელწოდებით, მაგრამ „პორშესთან“ პაექრობაში დამარცხდა. სპორტული ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატი კი დაიწყება 14 აპრილს „სუძუკას“ ტრასაზე, იაპონიის „გრან პრის“ გათამაშებით.

მოამზადა დავით ჩუბინიძემ.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-11 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.704.012 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგება 12.876 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (127) — 2.838 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 72.501 ვარიანტი. 13—0, 12—1 (ფოთი), 11—5.

მე-11 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 6 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით.

• • •

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-11 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.370.861 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 10.281 მანეთი დაემატება მე-12 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს. ამრიგად მე-12 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგები ფონდი გაიზარდა 19.483 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (26) მოგება 3.595 მანეთია, ოთხისთვის — (1.593) — 150.

საქართველოში: დაშვებული 37.917 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—41.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 24.892.541 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (114) მოგება 6.550 მანეთია. ოთხისთვის (17.752) — 72, სამისთვის (424.584) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 510.115 ვარიანტი. 5—2 (თბილისი), 4—298, 3—7.926.

მე-11 და 2-11 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 6 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით.

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტო 5 36“-დან სუპერტირაჟის შედეგები.

სუპერტირაჟში დაშვებულია 3.350.528 ვარიანტი 10-ტირაჟიანი ბილეთებისა, რომლებიც ერთჯერადად მონაწილეობდნენ ტირაჟში. 5 ნომრის გამოცნობისთვის (9) მოგება 111.684 მანეთია, ოთხისთვის (1.666) — 914, სამისთვის (47.125) — 53.

საქართველოში: დაშვებულია 22.845 ვარიანტი. 5—0, 4—30, 3—576.

სუპერტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 6 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით.

• • •

მე-12 ტირაჟის შედეგები

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალტუბო), 12 (ტანვარჯიში), 16 (ცხენოსნობა), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 38 (ალპინიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 15 (ბაიდარების და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 18 (ძლეოსნობა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ს. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 96-97-55
სამდივნო — 96-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 96-97-54.
„ზერანი“ — 96-97-26, „ზარიანი“ — 96-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქმოსლის“ სტამბა. 380009, თბილისი, ს. კოსტავას, 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ნიშარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20